საქართველო
ჩხოროწყუს
მუნიციპალიტეტის
საკრებულო

5000საქართველო, ჩხოროწყუ,
დ. აღმაშენებლის ქ. №1
0(417) 22-01-28.

Georgia
Chkhorotsku
Municipality
Council

5000Georgia, Chkhorotsku,
D. Agmashenebeli st. #1
0(417) 22-01-28.

დადგენილება №33

2017 წლის 21 აგვისტო

დ. ჩხოროწყუ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალის, საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების მე-4 მუხლის, მე-11 მუხლის მე-7 პუნქტისა და მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს:

ა) აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ფორმა (ადმინისტრაციული დაპირება) (დანართი №1);

ბ) პირობების გარეშე გამოცხადებული აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა (დანართი №2);

გ) პირობებით გამოცხადებული აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა (დანართი №3);

დ) საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა (დანართი №4) ;

ე) საჯარო აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალის ფორმა (დანართი №5);

ვ) საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფორმა (დანართი №6).

მუხლი 2.

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის თანდართული ფორმების ტექსტი შესაძლებელია შეიცვალოს მოქმედი კანონმდებლობისა და საპრივატიზებო ობიექტის თავისებურების გათვალისწინებით.

მუხლი 3.

საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს:

ა) ფიზიკური პირებისათვის–50 ლარი;

ბ) იურიდიული პირებისათვის–100 ლარი.

მუხლი 4.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის (ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 აგვისტოს №20 დადგენილება.

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ბესიკ ესებუა

დანართი №1

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი

ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება)

№ ----------

„----“ „----------“ 20 წელი

დ. ჩხოროწყუ

აუქციონში გამარჯვებული პირის (ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) მიმღები პირის) მონაცემები:

სახელი, გვარი/დასახელება ----------

პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი ----------
მისამართი ----------

წარმომადგენელი/მინდობილი პირი ----------

აუქციონზე წარმოდგენილი ქონების მონაცემები:
(მისამართი ან/და სხვ) ----------

ჩატარებული აუქციონის მონაცემები:
აუქციონის ჩატარების თარიღი ----------

საკადასტრო/საიდენტიფიკაციო
კოდი № ----------

აუქციონის № ----------

უძრავი/მოძრავი ქონების ფართი
კვ.მ., წილის ოდენობა და სხვა
აღწერილობა ----------

აუქციონის ლოტის № ----------

ჩატარებული აუქციონის შესახებ ინფორმაცია:

ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური ლარებში ----------

აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული
საბოლოო ფასი ლარებში ----------

გასხვისებული ქონების სრული ღირებულება ლარებში----------

შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის ვადა----------

ჩატარებული აუქციონის პირობები:

სხვა პირობები და ვალდებულებები:

შეზღუდვა: ----------

აუქციონატორი ----------

აუქციონში გამარჯვებული ----------

ბ.ა.

დანართი №2

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

პირობების გარეშე გამოცხადებული აუქციონის ნასყიდობის

ხელშეკრულება №-----

"-------" "-------- ----------"

დ. ჩხოროწყუ

(რიცხვი, თვე, წელი)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო **მასზედ, რომ** _____
_____
_____
_____

(აუქციონში გამარჯვებულის - ფიზიკური პირის სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი; იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება, მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების საფუძველზე
_____
_____

(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი, ქონების დასახელება, ქონების მისამართი, მონაცემები, საკადასტრო/ საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, ფართობი, წილის ოდენობა და ქონების სხვა აღწერილობა)

ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური*:*

---------- *(----------) ლარი.*

(ციფრებით) (სიტყვიერად)

შემდგომი პრივატიზების მიზნით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მიერ_____ გამართული №____ აუქციონის № ____ ლოტზე

მის მიერ შემოთავაზებული ფასის: -------- *(----------) ლარი.*

(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების თანახმად, რაც დადასტურებულია აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 20---- წლის ---- ---------- №_____ ოქმით, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ **საკუთრებაში გადაეცემა**

_____

_____

_____

_____

(ქონების დასახელება, მონაცემები საჯარო რეესტრიდან, მათ შორის: ინფორმაცია უძრავი/მოძრავი ქონების დატვირთვის ან/და ვალდებულებების თაობაზე, საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, უძრავი/მოძრავი ქონების ფართობი, ქონების სხვა აღწერილობა)

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:

ა) აუქციონზე შეძენილი ქონების **ღირებულება, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს ან/და საგარანტიო თანხას/ზეს და სრული ღირებულების ოდენობას შორის არსებულ სხვაობას,** --------- *(----------)* ლარი

(ციფრებით) (სიტყვიერად)

გადაიხადოს წინამდებარე **ხელშეკრულების გაფორმებიდან** ____ **კალენდარული დღის** ვადაში

შემდეგ საბანკო ანგარიშზე :

_____

ბ)_____

გ)_____

სხვა პირობები და ვალდებულებები:

1. ოქმისა და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების სრულად დაფარვამდე, აუქციონში გამარჯვებულს მუნიციპალიტეტის ქონება გადაეცემა პირობადებულ საკუთრებაში, ამასთან, აუქციონში გამარჯვებული პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.
2. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, აუქციონის პირობები, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.
3. მუნიციპალიტეტის შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს გადაეცემა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების ანაზღაურების შემდეგ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან.
4. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, მუნიციპალიტეტის ქონების შემძენზე საკუთრების უფლება გადადის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ.
5. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს მუნიციპალიტეტის შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, არა აქვს უფლება მუნიციპალიტეტის გადაცემული ქონება საკუთრებაში ან სარგებლობის უფლებით გადასცეს სხვა პირს ან უფლებრივად დატვირთოს. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

6. ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.
7. თუ აუქციონში გამარჯვებული დადგენილ ვადაში არ გადაიხდის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრულ ღირებულებას, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება მუნიციპალიტეტის ქონებაზე, ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯები არ უნაზღაურდება.
8. აუქციონში გამარჯვებულ პირს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.
9. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს შემძენი.
10. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11. პრივატიზებულ ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი.
12. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი რჩება ქონების მმართველს (გამყიდველს), ხოლო ორი გადაეცემა აუქციონში გამარჯვებულს.
13. აუქციონში გამარჯვებული ადასტურებს, რომ გაეცნო, ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.
14. საკითხები, რომელიც არ განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით, განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

ქონების მმართველი:

---------- ----------

(რეკვიზიტები) (ხელმოწერა)

აუქციონში გამარჯვებული პირი

---------- ----------

(რეკვიზიტები) (ხელმოწერა)

ბ.ა.

დანართი №3

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

პირობებით გამოცხადებული აუქციონის ნასყიდობის

ხელშეკრულება № -----

„-------" „-------- ----------"

(რიცხვი, თვე, წელი)

დ. ჩხოროწყუ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო მასზედ, რომ

(აუქციონში გამარჯვებულის - ფიზიკური პირის სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი; იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება, მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების საფუძველზე

(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი, ქონების დასახელება, ქონების მისამართი, მონაცემები, საკადასტრო/ საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, ფართობი, წილის ოდენობა და ქონების სხვა აღწერილობა)

ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური:

---------- *(----------) ლარი.*

(ციფრებით) (სიტყვიერად)

შემდგომი პრივატიზების მიზნით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მიერ_____ გამართული №____ აუქციონის № ____ ლოტზე

მის მიერ შემოთავაზებული ფასის: --------*(----------) ლარი.*

(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში – აუქციონში გამარჯვებული) და მას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების თანახმად, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 20------ წლის ---- ---------- №_____ ოქმით და

წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ - საკუთრებაში გადაეცემა

_____

_____

(ქონების დასახელება, მონაცემები საჯარო რეესტრიდან, მათ შორის, ინფორმაცია უძრავი ქონების დატვირთვის ან/და ვალდებულებების თაობაზე, საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, უძრავი ქონების ფართობი, ქონების სხვა აღწერილობა)

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:

1. აუქციონზე შეძენილი ქონების **ღირებულება, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს ან/და საგარანტიო თანხას/ზეს და სრული ღირებულების ოდენობას შორის არსებულ სხვაობას,** --------- *(----------)* ლარი

(ციფრებით) (სიტყვიერად)

გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან _____ კალენდარული დღის *ვადაში*

შემდეგ საბანკო ანგარიშზე :

---

2. შეასრულოს აუქციონის შემდეგი პირობები:

*ა)*_____

*ბ)*_____

გ)---

სხვა პირობები და ვალდებულებები:

1. ოქმისა და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების სრულად დაფარვამდე, აუქციონში გამარჯვებულს მუნიციპალიტეტის ქონება გადაეცემა პირობადებულ საკუთრებაში, ამასთან, აუქციონში გამარჯვებული პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.
2. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, აუქციონის პირობები, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.
3. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს მუნიციპალიტეტის შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, არა აქვს უფლება მუნიციპალიტეტის გადაცემული ქონება საკუთრებაში ან სარგებლობის უფლებით გადასცეს სხვა პირს ან უფლებრივად დატვირთოს. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.
4. საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების გასხვისების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იგივე პირობებით, რაც გათვალისწინებულია ოქმითა და წინამდებარე ხელშეკრულებით. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ მუნიციპალიტეტის ქონების

გასხვისების შესახებ ინფორმაცია წერილობით უნდა ეცნობოს ქონების მმართველს (გამყიდველს).

5. გასხვისებული ქონების სააუქციონო პირობებთან მიმართებაში ყოველი ახალი მესაკუთრე წარმოადგენს აუქციონში გამარჯვებულის უფლებამონაცვლეს.
6. ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.
7. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებული იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლოს ოდენობა, აუქციონის პირობებიდან გამომდინარე, განისაზღვრება ოქმითა და ხელშეკრულებით, კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%-ს.

8. ოქმისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა ქონების მმართველის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად. აუქციონში გამარჯვებულს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, არ უბრუნდება შეტანილი „ბე" ან წარმოდგენილი საბანკო გარანტია, გადახდილი თანხები და ქონებაზე გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.
9. მუნიციპალიტეტის შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს გადაეცემა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების ანაზღაურების შემდეგ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა აუქციონის პირობების შესრულების შემდეგ.
10. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენზე საკუთრების უფლება გადადის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენზე საკუთრების უფლება გადადის ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით.
11. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს ქონების შემძენი.
12. აუქციონში გამარჯვებულ პირს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.
13. აუქციონში გამარჯვებულს, სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის შემთხვევაში, წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უბრუნდება უკან.
14. იმ შემთხვევაში, თუკი ოქმითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულია შეზღუდვები, აღნიშნული განიხილება როგორც შეძენილი ქონების შემდგომი განკარგვისა და განვითარებისთვის გასათვალისწინებელი პირობა.
15. პრივატიზებულ ობიექტზე ნებისმიერი ნებართვა, ლიცენზია გაიცემა ან/და სხვა ნებისმიერი საქმიანობა წარმოებს საპრივატიზებო შეზღუდვების გათვალისწინებით.
16. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
17. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებასთან დაკავშირებული სადაო საკითხის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი.
18. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი რჩება ქონების მმართველს (გამყიდველს), ხოლო ორი გადაეცემა აუქციონში გამარჯვებულს.

19. აუქციონში გამარჯვებული ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.
20. ხელშეკრულებას, რომელიც გამყიდველთან რჩება, თან ერთვის:
    ა. ამონაწერი საჯარო და/ან სამეწარმეო რეესტრიდან;
    ბ. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებული მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
21. საკითხები, რომელიც არ განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით, განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

ქონების მმართველი:

---------- ----------

(რეკვიზიტები) (ხელმოწერა)

აუქციონში გამარჯვებული პირი:

---------- ----------

(რეკვიზიტები) (ხელმოწერა)

ბ.ა.

დანართი №4

მცირე სახელმწიფო გერბი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

№_____

„------“----------20 წ.

ეძლევა _____

(მესაკუთრე და მისი მისამართი)

_____მასზედ,

რომ მას გადაეცა საკუთრებაში _____

_____

(ქონების დასახელება და მისამართი)

_____

(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი, წილის ოდენობა, უძრავი ქონების ფართობი)

_____

(საიდენტიფიკაციო მონაცემები: საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი; სარეგისტრაციო ნომერი)

საფუძველი: _____

(ოქმის და ხელშეკრულების რეკვიზიტები)

მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს, რომელთაგან ერთი წარედგინება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს. მესამე ეგზემპლარი ინახება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ძალაშია ოქმთან და ხელშეკრულებასთან ერთად, რომელიც მოწმობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ჩხოროწყუს
მუნიციპალიტეტის გამგებელი

_____ _____

(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

ბ.ა.

დანართი №5

საჯარო აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალი

№	სახელი,გვარი /სახელწოდება	მისამართი	განაცხადების შემოტანის თარიღი და დრო	საპრივატიზებო ობიექტი		შენიშვნა
				ქონების დასახელება	ლოტი	
1	2	3	4	5		6

დანართი №6

საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთი №-----

აუქციონატორის დასახელება ----------

მონაწილე ----------

საპრივატიზაციო ქონების დასახელება

საჯარო აუქციონის ჩატარების დრო, საათი, მისამართი

ბილეთის ფასი ---------- ----------

(ციფრებით) (სიტყვიერად)

ლოტის № ----------

ბ.ა.